დამტკიცებულია მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს
2026 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის 2026 წლის 21 ივნისის რიგგარეშე საერთო კრების რეგლამენტი

მუხლი 1. რეგლამენტის არსი

1.1. რეგლამენტი ადგენს ასოციაციის წევრების მიერ, ასოციაციის საერთო კრებაზე უფლებამოსილებათა განხორციელების წესსა და პროცედურას.

მუხლი 2. კრების ადგილმდებარეობა და დრო

2.1. საერთო კრება იმართება 2026 წლის 21 ივნისს დილის 10:00 საათიდან 14:00 საათამდე პერიოდში, მისამართზე: **შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი,** თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ. #2

მუხლი 3 . კრების მიმდინარეობა

3.1. საერთო კრების გახსნამდე, 10:00 საათზე იწყება მონაწილეთა რეგისტრაცია და გრძელდება იმავე დღის 10:30 საათამდე. კრების დარბაზის შესასვლელთან განთავსებულია სარეგისტრაციო მაგიდები, სადაც საორგანიზაციო კომისიის წევრები ამოწმებენ წევრთა ვინაობას, მოქალაქის პასპორტის ან პირადობის მოწმობის წარმოდგენის საფუძველზე, წევრთა ერთიან სიასთან შედარებით. წევრის მიერ სიაში ხელმოწერით და საორგანიზაციო კომისიის წარმომადგენელის მიერ მანდატზე ხელმოწერით დასტურდება წევრის კრებაზე მონაწილეობის უფლება, რის შემდეგაც წევრს გადაეცემა მანდატი, რომელიც დამოწმებულია ორგანიზაციის ბეჭდით. ასოციაციის წევრი, რომელმაც გაიარა რეგისტრაცია, კრებაზე დაიშვება მანდატის წარდგენის შემდეგ.

3.2. კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება ასოციაციის წევრთა უბრალო უმრავლესობა. ქვორუმის არარსებობის შემთხვევაში, იმავე დღეს 10:30 საათზე, მოიწვევა განმეორებითი საერთო კრება, რომელიც უფლებამოსილია მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა. განმეორებითი კრების მოწვევის შემთხვევაში კრების დღის წესრიგი რჩება უცვლელი და განმეორებითი რეგისტრაცია ცხადდება 10:30 საათზე და

სრულდება 11:00 საათზე. განმეორებით კრების იმავე დღეს მოწვევის შემთხვევაში, ხელმეორედ რეგისტრაციისას არ გაიცემა ახალი მანდატი და ძალში რჩება პირველი რეგისტრაციის დროს გაცემული მანდატი.

3.3. საორგანიზაციო კომისია 10:30 საათზე, ხოლო განმეორებითი კრების შემთხვევაში 11:00 საათზე აჯამებს კრებაზე მოსულ წევრთა რაოდენობას და სამანდატო კომისიის თავმჯდომარე ამ ინფორმაციას გადასცემს კრების თავმჯდომარეს. რეგისტრაცია პირველი კრების შემთხვევაში 10:30 საათზე, ხოლო განმეორებითი კრების შემთხვევაში 11:00 საათზე წყდება.

3.4. მორიგი საერთო კრების გახსნამდე კრების თავმჯდომარე, კრების მონაწილეებს აცნობს ასოციაციის წევრთა მთლიან და დამსწრე წევრთა რაოდენობას, რის შემდეგაც აცხადებს უფლებამოსილია თუ არა კრება შეუდგეს მუშაობას.

3.5. რეგისტრაცია გავლილი ასოციაციის წევრი, რომელიც დატოვებს შენობას, კრებაზე უკან დაიშვება მხოლოდ მანდატის და პირადობის მოწმობის წარმოდგენის საფუძველზე.

3.6. რეგისტრაციის დასრულების შემდგომ კრებაზე დაგვიანებით მოსული წევრები კრებაზე არ დაიშვებიან.

მუხლი 4. ასოციაციის წევრთა ერთიანი სია

4.1. ასოციაციის წევრთა ერთიანი სია საერთო კრების თავმჯდომარის მიერ გადაეცემა საორგანიზაციო კომისიას მანდატებთან ერთად, რის შესახებაც დგება შესაბამისი ოქმი.

4.2. სარეგისტრაციო სიის ყოველი ფურცელი ბეჭედდასმულია და შეიცავს წევრის სახელსა და გვარს. წევრის სახელის გასწვრივ მოცემულია ხელმოწერის გრაფა.

4.3. რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, საორგანიზაციო კომისია უზრუნველყოფს რეგისტრაციაგავლილ წევრთა რაოდენობის დათვლას. შედეგად დაიხურება შეუვსებელი გრაფები და მის გასწვრივ დაისმება ლათინური ნიშანი - „Z“.

4.4. ზემოაღნიშნული პროცედურების გავლის შემდეგ, სარეგისტრაციო სიები საორგანიზაციო კომისიის მიერ გადაეცემა საერთო კრების თავმჯდომარეს რის შესახებაც დგება შესაბამისი ოქმი.

მუხლი 5. კრების მიმდინარეობის პროცედურები

5.1. კრებას ხსნის და უძღვება ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ განსაზღვრული საერთო კების თავმჯდომარე, რომელიც:

5.1.1. აცხადებს კრების სხდომის გახსნას და დასრულებას;

5.1.2. უძღვება საკითხის განხილვას. საკითხის შინაარსიდან გამომდინარე სიტყვას აძლევს და ჩამოართმევს გამომსვლელს. გამომსვლელის სიტყვის ხანგრძლივობა არ უნდა

აღემატებოდეს 2 წუთს, რომელსაც შეიძლება კრების თავმჯდომარის გადაწყვეტილებით დაემატოს 1 წუთი;

5.1.3. უზრუნველყოფს ამ რეგლამენტისა და საერთო კრებაზე წესრიგის დაცვას;

5.1.4. კენჭისყრაზე აყენებს საკითხს და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;

5.1.5. ამ რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სიტყვას ჩამოართმევს გამომსვლელს, სხდომათა დარბაზს ატოვებინებს წევრს, რომელიც არღვევს წესრიგს;

5.1.6. საჭიროების შემთხვევაში აცხადებს შესვენებას;

5.1.7. ახორციელებს ამ რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

5.2. კრების თავმჯდომარის გადაწყვეტილებით საკითხის განხილვის მიმდინარეობისას განხილვაში მონაწილე გამომსვლელები უნდა ჩაეწერონ გამომსვლელთა სიაში, კრების სამდივნოს საშუალებით, ახალ საკითხზე გადასვლამდე.

5.3. ერთიდაიმავე გამომსვლელისათვის რამდენჯერმე სიტყვის მიცემის საკითხს წყვეტს კრების თავმჯდომარე საკითხის შინაარსიდან გამომდინარე;

5.4. საერთო კრებაზე საკითხის განხილვა წარმოებს კრების დღის წესრიგით დადგენილი რიგითობის შესაბამისად.

მუხლი 6. ხმის დამთვლელი კომისია

6.1. **ხმის დამთვლელი კომისიის წევრთა** შემადგენლობა განისაზღვრება საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წესდებით და შედგება არანაკლებ **3 წევრისგან,** რომლებიც უნდა იყვნენ ასოციაციის წევრები. ხმის დამთვლელი კომისიის წევრები აირჩევიან ღია კენჭისყრით კრების დაწყებისთანავე და მათი უფლებამოსილება წყდება კრების დასრულებისთანავე.

6.2. ხმის დამთვლელი კომისია თავის შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს თავმჯდომარეს. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე, სხვა წევრებთან ერთად ხელს აწერს კენჭისყრის შედეგების ოქმს და შედეგებს მოახსენებს კრებას. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის მიერ კენჭისყრის შედეგების ოქმზე, ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში აღნიშნულ ოქმზე ხელს აწერს საერთო კრების თავმჯდომარე და ხმის დამთვლელი კომისიის მინიმუმ 2 წევრი.

6.3. ხმის დამთვლელი კომისია უფლებამოსილია თუ მასში მონაწილეობს წევრთა ნახევარზე მეტი.

მუხლი 7. ღია კენჭისყრის წესი და პროცედურა

7.1. ხმის დამთვლელი კომისია, ხოლო მის არჩევამდე საორგანიზაციო კომისია, ღია კენჭისყრის დროს ვალდებულია დაითვალოს მიღებული ხმები, რომლებიც კომისიის მიერ შეჯამდება და მოხსენდება კრებას.

7.2. ხმის დამთვლელი კომისია ღია კენჭისყრის დროს განთავსდება სექტორების მიხედვით და თითოეული წევრი ვალდებულია დაითვალოს სექტორის მიერ მიღებული ხმები, რომლებიც კომისიის მიერ შეჯამდება და მოხსენდება კრებას, რის თაობაზეც დგება შესაბამისი ოქმი.

7.3. ღია კენჭისყრის დროს პირველად ცხადდება საკითხს ვინ უჭერს მხარს, შემდეგ ვინ არის წინააღმდეგი და ბოლოს თავი ვინ შეიკავა.

7.4. მედიატორთა ასოციაციის საერთო კრება ღიაა და კენჭისყრა მიმდინარეობს გამჭვირვალედ.

მუხლი 8. ფარული კენჭისყრის წესი

8.1. ფარული კენჭისყრისთვის ხმის დამთვლელი კომისია უზრუნველყოფს დღის წესრიგით გათვალისწინებული ორგანოების წევრთა არჩევისთვის საჭირო ბიულეტენების მომზადებას, რომელზეც დატანილია ასარჩევი კანდიდატების სახელები და გვარები.

8.2. ხმის დამთვლელი კომისია, კრების თავმჯდომარის მიერ გამოცხადებული ტექნიკური შესვენებისას, წევრებს გადასცემს ბიულეტენებს ფარული კენჭისყრისათვის. ბიულეტენის მიღება და გაცემა დასტურდება წევრის მიერ შესაბამის სიაში ხელმოწერითა და ხმის დამთვლელი კომისიის წარმომადგენლის მიერ ბიულეტენის შესაბამის გრაფაში ხელმოწერით.

8.3. ბიულეტენების დარიგებისთანავე, საორგანიზაციო კომისია ხმის დამთვლელი კომისიის მეთვალყურეობის ქვეშ ითვლის დარჩენილ ბიულეტენებს, რომლებიც გადაიხაზება ლათინური ნიშნით - Z. გაცემული ბიულეტენების რიცხვი უნდა ემთხვეოდეს კრებაზე რეგისტრირებული წევრების რაოდენობას. ბიულეტენების გაცემის შესახებ დგება ოქმი, რომელშიც მიეთითება გაუქმებული ბიულეტენების რაოდენობა. ოქმს ხელს აწერს საორგანიზაციო კომისიის ყველა წევრი და ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე.

8.4. ხმის მიცემის პროცედურის დაწყების შემდეგ, წევრები ბიულეტენებს ათავსებენ გამჭვირვალე საარჩევნო ყუთში. საარჩევნო ყუთი ხმის მიცემამდე უნდა იყოს დალუქული და მასზე პასუხისმგებელია ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე.

8.5. საარჩევნო ყუთთან ხმის მიცემის დროს მუდმივად უნდა იმყოფებოდეს ხმის დამთვლელი კომისიის სულ მცირე ორი წევრი.

8.6. ხმის მიცემის დასრულებისთანავე, ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე ლუქავს საარჩევნო ყუთს. ხმის დამთვლელი კომისია უზრუნველყოფს ხმების დათვლას და ადგენს ოქმს. კანდიდატების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა და ბათილი ბიულეტენების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს კრებაზე დარეგისტრირებულ წევრთა რაოდენობას. ოქმს ხელს აწერს ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე სხვა წევრებთან ერთად და გამოსაცხადებლად გადასცემს კრების თავმჯდომარეს.

მუხლი 9. რეგლამენტის დებულებების დაცვა

9.1. რეგლამენტის დარღვევისთვის წევრის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას ზემოქმედების შემდეგი ფორმები:

9.1.1. გაფრთხილება;

9.1.2. კრებაზე სიტყვის ჩამორთმევა;

9.1.3. სხდომათა დარბაზის დატოვება.

9.2. კრების თავმჯდომარე უფლებამოსილია წევრს ჩამოართვას ხმა თუ იგი:

9.2.1. კრებაზე სიტყვით გამოდის სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე;

9.2.2. აჭარბებს რეგლამენტით დადგენილ დროს ან იმ დროს, რომელიც მას გაუგრძელეს სხდომაზე დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

9.3. კრების თავმჯდომარე უფლებამოსილია გააფრთხილოს წევრი, რომელიც:

9.3.1. ამ მუხლით და რეგლამენტის 5.1.2. და 5.1.5. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სიტყვის ჩამორთმევის შემდეგაც განაგრძობს გამოსვლას;

9.3.2. სიტყვით გამოდის მიკროფონის გარეშე;

9.3.3. ჩაიდენს ქმედებას, რომელიც იწვევს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით წარმართული სხდომის შეფერხებას;

9.4. კრების თავმჯდომარე უფლებამოსილია დარბაზი დაატოვებინოს იმ წევრს:

9.4.1. რომელმაც იმავე სხდომაზე მიიღო ორი გაფრთხილება და ხელს უშლის კრების მიმდინარეობას;

9.4.2. რომელიც სხდომათა დარბაზში გამოცხადდა იარაღით ან სხვა კანონით აკრძალული ნივთით;

9.4.3. რომელიც ხელს უშლის საერთო კრების მიმდინარეობას ან ამგვარი ქმედებისკენ მოუწოდებს სხვა წევრებს.

მუხლი 9. საერთო კრების ოქმი

10.1. ასოციაციის საერთო კრების მსვლელობაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კრების თავმჯდომარე.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

11.1. წინამდებარე რეგლამენტი შედგენილია ერთ ეგზემპლარად;

11.2. ასოციაციის წევრებს უფლება აქვთ მოითხოვონ და მიიღონ ასოციაციის სათანადო წესით დამოწმებული რეგლამენტის ასლი.